www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2018

ოქტომბერი

02.11.2018

www.geostat.ge

02.11.2018

ინფლაცია საქართველოში, 2018 წლის ოქტომბერი

2018 წლის ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2,3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.0
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.7
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	6.3
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.2
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.1
ჯანმრთელობის დაცვა	0.6
ტრანსპორტი	0.6
კავშირგაბმულობა	-0.1
დასვენება, გართობა და კულტურა	0.3
განათლება	-1.3
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	-0.3
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.3
ინფლაციის დონე, სულ	0.3



ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ფასები გაიზარდა 6,3 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,2 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც ფეხსაცმლის (12,6 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (3,6 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 0,6 პროცენტიანი ზრდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციაში 0,07 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაზრდილია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1,1 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 0,7 პროცენტით, რაც 0,05 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (1,5 პროცენტი);

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

02.11.2018

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0,6 პროცენტით, რაც 0,05 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობის ქვეჯგუფზე (1,2 პროცენტი), ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (0,3 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურებაზე (0,2 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2018 წლის ოქტომბრის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5.7
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-7.1
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	4.4
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.9
ჯანმრთელობის დაცვა	6.1
ტრანსპორტი	6.5
კავშირგაბმულობა	-1.4
დასვენება, გართობა და კულტურა	1.2
განათლება	2.4
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.5
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.6
ინფლაციის დონე, სულ	2.3

ჯგუფების წვლილი* 2018 წლის ოქტომბრის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 2,3%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6,5 პროცენტიანი მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,86 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (10,3 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (2,4 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 6,1 პროცენტით, რაც 0,51 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (12,0 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3,8 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,3 პროცენტი);

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 5,7 პროცენტით, რაც 0,39 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (9,5 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,9 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 4,4 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,37 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი), ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (4,2 პროცენტი), ასევე საცხოვრებლის მიმდინარე მოვლისა და შეკეთების (2,5 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ. ფოსტა: gtetrauli@geostat.ge